



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 317

ქალაქი ქუთაისი 26 ოქტომბერი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უმრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში
გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 26.09.2016 წლის N5/49591 და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 23.09.2016 წლის N01-01/07/24748 მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისა და კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ: 1. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის I შესახვევის N13-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი /ფართობით: 1894.34 კვ.მ. საკადასტრო კოდი N03.04.32.763/; 2. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩის I შესახვევის N13-ში (ყოფილი ავტომშენებლის ქუჩა N45^ა) მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (ფართობით: 731.99 კვ.მ. საკადასტრო კოდი N03.01.23.426).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის I შესახვევის N13-ში N03.04.32.763 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 4202.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩის I შესახვევის N13-ში (ყოფილი ავტომშენებლის ქუჩა N45^ა) N03.01.23.426 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 5258.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დარჩეს თანასაკუთრების მიწის ნაკვეთად.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი